30 წამი და 1 ქულა

დონეცკი. “შახტიორის” სტადიონი. 15 ოქტომბერი.

“შახტიორი” (დონეცკი) - “დინამო” (თბილისი) 1:1 (0:1).

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, გ. სიჭინავა, კალოევი, ბარქაია, მესხი.

“შახტიორი”: სტრელკოვი, გოლოვკო, სნეგირიოვი, დროზდენკო, მიზერნი, სალკოვი, როდინი, კოლესოვი, საველიევი, ანანჩენკო, საფრონოვი.

მსაჯი ე. კლავსი (რიგა).

სსრ კავშირის ჩემპიონატის ლიდერის - თბილისის “დინამოს” გამოსვლამ არნახული ინტერესი გამოიწვია დონეცკში. ლიდერის თამაში თავისთავად დიდი მოვლენაა ყველა ქალაქის ფეხბურთის მოყვარულთათვის, მაგრამ მეშახტეები უკვე ზედიზედ ორი წელია ფლობენ ჩვენი ქვეყნის თასს, ამდენად ისინი უმაღლესი ფეხბურთის ორბიტაში არიან მოქცეული და ახლა განსაკუთრებით უფრთხილდებიან თავიანთ პრესტიჟს. ამიტომ თამაში “შახტიორთან” დონეცკში, მისი თავგამოდებული და ერთგული გულშემატკივრების წინაშე მეტად ძნელი საქმეა.

მეშახტეთა გუნდს ჩვენი ფეხბურთელები არაერთხელ შეხვედრიან, ესაა აუღრეკად შრომისუნარიანი, ენერგიული, ფიზიკურად შესანიშნავად მომზადებული კოლექტივი, რომლისთვისაც ყოველ მატჩი ესაა 90-წუთიანი შეუპოვარი, მძაფრი ბრძოლა. “შახტიორის” არც ერთი მოთამაშე არ მისცემს თავს უფლებას თუნდაც წამით შეასუსტოს ყურადღება ან გამოეთიშოს ბრძოლას. გუნდს ჰყავს მეტად სწრაფი, მოძრავი ფორვარდები, დაუღალავი ნახევარდაცვა, მტკიცე დაცვა.

მასპინძელთა გეგმა საკმაოდ ნათელი იყო. მათ პირველივე წუთებიდან მთელი მაქსიმუმი ჩართეს თამაშში, რათა მოწინააღმდეგისათვის არ მიეცათ საშუალება მოეხდინა თავის უპირატესობის რეალიზაცია ტექნიკაში, არ მიეცათ ბურთის თავისუფალი მიღებისა და დამუშავების საშუალება.. “შახტიორმა” გაორმაგებული ცენტრით სცადა ძირითადი შეტევის წარმართვა (საველიევი-ანანჩენკო), მაგრამ თბილისელთა საჯარიმო მოედანზე მოქმედებდა ასეთივე გაორმაგებული ცენტრალური დაცვა: ჩოხელი-პეტრიაშვილი და ამ წყვილების “დუელი” დინამოელთა სრული გამარჯვებით დამთავრდა. შემდგომში ანანჩენკომ, რომელიც თავისი გუნდის მთავარ “ბომბარდირს” წარმოადგენს, მარცხენა ფლანგიდან სცადა გარღვევაზე გასვლა, მაგრამ მისი ცდა აქაც უნაყოფო გამოდგა ბ. სიჭინავასთან ბრძოლაში.

ამ დღეს ძალზე ცუდი ამინდი იდგა დონეცკში. წვიმისაგან დამძიმებული გრუნტი განსაკუთრებით არახელსაყრელი იყო ტექნიკურად ძლიერი თბილისელებისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთელი ტაიმი “დინამოს” უპირატესობით მიმდინარეობდა. თავდასხმას აქტიური მხარდაჭერა ჰქონდა ნახევარმცველთა მხრივ და “შახტიორის” კარი ხშირად იმყოფებოდა ხიფათის წინაშე. მე-12 წუთზე მესხი კარგად გავიდა თავის ფლანგზე, ჩააწოდა ცენტრში და ბარქაიამ ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში - 1:0.

მეორე ტაიმში მეშახტეებმა თავისებურ პრესინგს მიმართეს. გუნდი დაახლოებით ასეთი პრინციპით თამაშობდა: 11 კაცი დაცვაში, 11 - თავდასხმაში. ეს მოითხოვდა კოლოსალურ ძალებს, მაგრამ ეს ძალა მათ საკმაოდ აღმოაჩნდათ და “დინამოს” დაცვას მძიმე სამუშაო დააწვა მხრებზე. იერიში იერიშს მოსდევდა, მაგრამ დინამოელები ორგანიზებულად იცავდნენ თავს. მატჩის დამთავრებას აკლდა 10 წუთი, 6, 4, 3, 2...

გამარჯვება და მასთან ერთად ძვირფასი 2 ქულა თითქმის გარანტირებული იყო. თამაშის დამთავრებას უკლდა 30 წამი, როცა სალკოვმა მაღალი ბურთი დაკიდა კართან. კოტრიკაძემ აიღო იგი, მაგრამ წაიქცა და წამსვე დაფარულ იქნა მოთამაშეებით. ამ დროს ისარგებლა რომელიღაც თავდამსხმელმა და კარში გაგზავნა ბურთი. მატჩი დამთავრდა ფრედ - 1:1.

ნ. გუგუშვილი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.
“ლელო”, 16 ოქტომბერი, 1962 წ.